

**სსიპ - ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტში
სტუდენტური პროექტების დაფინანსების წესი**

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. სსიპ - ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტში (შემდგომ „უნივერსიტეტი“) სტუდენტური პროექტების დაფინანსების წესის (შემდგომ „წესი“) მიზანია განსაზღვროს უნივერსიტეტის სტუდენტების მიერ წარმოდგენილი შემოქმედებით-სპორტული, სამეცნიერო/საქველმოქმედო და სხვა მიზნების შესაბამისი პროექტებისათვის საჭირო ფინანსური რესურსების გამოყოფაზე გადაწყვეტილების მიღების პროცედურა.
2. უნივერსიტეტში სტუდენტური პროექტების განხორციელებაზე პასუხისმგებელია პროექტის წარმდგენი სტუდენტი/სტუდენტთა ჯგუფი და სტუდენტთა კარიერული მხარდაჭერისა და პროექტების მართვის განყოფილება (შემდგომ „განყოფილება“), რომელიც თავის მხრივ, ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის რექტორის, ადმინისტრაციის ხელმძღვანელისა და სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტის უფროსის წინაშე.
3. წესი შემუშავებულია „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, უნივერსიტეტის წესდების და მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე.

მუხლი 2. დაფინანსების მიღების პროცედურა

1. სტუდენტები საპროექტო განაცხადს ამზადებენ სპეციალურად შემუშავებულ ფორმამი (დანართი 1). პროექტი შესაძლოა გულისხმობდეს ისეთ აქტივობებს, როგორცაა: ტრენინგების და საჯარო ლექციების ორგანიზება (სპიკერების კომპეტენციის დადასტურება უნდა მოხდეს შესაბამისი ფაკულტეტის მიერ), საქველმოქმედო აქციების ორგანიზება, გამოფენების, სპექტაკლების, კონცერტების, სემინარების ორგანიზება და ჩატარება და სხვა, უნივერსიტეტის პრიორიტეტების მიხედვით.
2. უნივერსიტეტის სტუდენტ(ებ)ი, სტუდენტური თვითმმართველობა და არსებული სტუდენტური ჯგუფები წერილობით ან ელექტრონულად მიმართავენ სათათბიროს სტუდენტური პროექტების დაფინანსების წინადადებით (გარდა ბიუჯეტით განსაზღვრული საუნივერსიტეტო დაგეგმილი პროექტებისა). წერილობით მიმართვას უნდა ერთვოდეს დასაფინანსებელი პროექტი შესაბამისი შეფასების კრიტერიუმების მოთხოვნათა გათვალისწინებით (დანართი N2).
3. განაცხადის განხილვა ხდება რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შექმნილი პროექტების განმხილველი სათათბიროს მიერ, რომელიც უნდა შედგებოდეს არანაკლებ 5 წევრისაგან: განყოფილების უფროსი, ფაკულტეტის დეკანი, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილე, იურისტი და ფაკულტეტის საბჭოს წევრი სტუდენტი.
4. სათათბიროს გადაწყვეტილებით სპეციფიკური საკითხის განსახილველად და კომპეტეტური აზრის დასაფიქსირებლად ხმის უფლებით შეიძლება მიწვეულ იქნას შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირი. სურვილის შემთხვევაში შესაძლოა სხდომას დაესწროს ყველა ფაკულტეტის დეკანი.
5. სათათბირო კომისიის წევრი აცილებლად უნდა იცნობდეს კონკრეტულ პროექტთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების პროცედურას. თუკი არსებობს ინტერესთა კონფლიქტი, ის ვერ იქნება სათათბიროს შემადგენლობაში. კერძოდ, საკონკურსო კომისიის წევრი არ შეიძლება იყოს ის პირი:
 - ა) რომელიც არის კონკურსის მონაწილე;
 - ბ) რომელმაც შესაძლოა უშუალოდ მიიღოს პროფესიული, ფინანსური ან პირადი სარგებელი, პროექტის დაფინანსების ან დაუფინანსებლობის შემთხვევაში;
 - გ) რომლის ნათესავი (საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 92-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული პირები) კონკურსანტია.
6. უნივერსიტეტის მიზნების შესაბამისი პროექტებისათვის დაფინანსებაზე გადაწყვეტილებას (ყოველწლიური ბიუჯეტით გათვალისწინებული რესურსების ფარგლებში) იღებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი სტუდენტური პროექტების დაფინანსების უზრუნველსაყოფად შექმნილი სათათბიროს (შემდგომ „სათათბიროს“) წარდგინების საფუძველზე.
7. ნებისმიერი ხარჯი, რომელიც საჭიროა პროექტის განხორციელებისათვის უშუალოდ ანაზღაურდება უნივერსიტეტის მიერ. იმ შემთხვევაში, თუ პროექტი საჭიროებს ტენდერის ჩატარებას, პროექტით განსაზღვრული აქტივობების შესასრულებლად, შესაბამისი განაცხადი უნდა წარედგინოს სათათბიროს მიწოდების საჭიროების თარიღამდე არაუგვიანეს 30 სამუშაო დღით ადრე.
8. პროექტის ფარგლებში ჩართული სტუდენტები პროექტზე მუშაობენ ანაზღაურების გარეშე, ვინაიდან აღნიშნული საქმიანობა საკუთარი არსით არის მოხალისეობრივი და შესაბამისად, ხარჯების

დათვლისას აღნიშნული ხარჯი მხედველობაში არ მიიღება.

9. უნივერსიტეტი აფინანსებს ისეთ სტუდენტურ პროექტებს, რომლებშიც ჩართულები არიან მხოლოდ უნივერსიტეტის სტუდენტები.

10. უფლებამოსილი პირი/ჯგუფი პროექტის დასაფინანსებლად სათათბიროს წარუდგენს შემდეგ დოკუმენტაციას:

ა) განცხადება;

ბ) პროექტი;

გ) სარეკომენდაციო წერილი (რომელიც დაასაბუთებს პროექტის მნიშვნელობას მოცემული დარგისათვის. მას წარუდგენს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირი);

დ) სტუდენტ (ებ)ის პორტფოლიო (საჭიროების შემთხვევაში), CV;

ე) სტუდენტის სატატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი.

11. წარმოდგენილი პროექტების დაფინანსების საკითხის განსახილველად, სათათბირო იკრიბება პერიოდულად პროექტების წარდგენის მიხედვით.

მუხლი 3. სტუდენტური პროექტების შეფასება

1. სტუდენტური პროექტების შეფასების მიზნით, სათათბიროს თითოეული წევრი ავსებს შესაბამის შეფასების ფორმას. თითოეული პროექტის შეფასების საბოლოო ქულა მიიღება სათათბიროს ყველა წევრის მიერ მიღებული ქულების საშუალო არითმეტიკულით.

2. სტუდენტური პროექტების შეფასება ხდება 0-40 ქულიანი სისტემით.

3. სათათბიროს მიერ დაფინანსებაზე წარდგენილი პროექტის ვიზირება ხდება იმ შემთხვევაში, თუ პროექტი შეფასდება არანაკლებ 22 ქულისა (55 %).

4. სათათბიროს მიერ პროექტების დაფინანსებაზე წარდგენის გადაწყვეტილება მიიღება უნივერსიტეტის ყოველწლიური ბიუჯეტით გათვალისწინებული შესაბამისი ფინანსური რესურსების ფარგლებში.

5. სათათბირო უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას და მიიღოს გადაწყვეტილება, თუ მას ესწრება წევრების 2/3 და ვალდებულია არაუგვიანეს 3 დღის ვადაში გადაწყვეტილება წარუდგინოს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს.

მუხლი 4. სტუდენტური პროექტის განმახორციელებლის ვალდებულება

1. პროექტის საანგარიშო პერიოდში და პროექტის დასრულების შემდეგ პროექტის განმახორციელებელი უნივერსიტეტის რექტორს წარუდგენს გაწეული საქმიანობის შესახებ წერილობით პროგრამულ ანგარიშს პროექტის მიმდინარეობის ამსახველი დოკუმენტების (მათ შორის ფოტო-ვიდეო მასალის) თანხლებით.

2. პროექტის საანგარიშო პერიოდში და პროექტის დასრულების შემდეგ პროექტის განმახორციელებელი უნივერსიტეტის რექტორს წარუდგენს პროექტის ფინანსურ ანგარიშს.

3. პროექტის დასრულების შემდეგ პროექტის განმახორციელებელი უნივერსიტეტის რექტორს წარუდგენს პროექტის დაფინანსების ფარგლებში შეძენილი მატერიალური ფასეულობების უნივერსიტეტისათვის გადაცემის, კანონმდებლობით დადგენილი წესით გაფორმებულ, მიღება-ჩაბარების დამადასტურებელ დოკუმენტაციას.

4. წარმოდგენილ სტუდენტურ პროექტთან დაკავშირებული ნებისმიერი სახის გადაწყვეტილების მიღების შესახებ ეცნობება პროექტის ხელმძღვანელ/პასუხისმგებელ პირს, მის მითითებულ ელექტრონულ ფოსტაზე, კონკრეტული გადაწყვეტილების მიღებიდან მომდევნო 3 (სამი) სამუშაო დღის განმავლობაში.

5. პროექტის ხელმძღვანელი/პასუხისმგებელი პირი ვალდებულია ბსსუ-ს საკონკურსო სათათბიროს ან/და ადმინისტრაციის მოთხოვნის შემთხვევაში წარმოადგინოს დამატებითი/დაზუსტებული დოკუმენტაცია ან/და პროექტი, ასევე საჭიროების შემთხვევაში მოახდინოს პროექტის ზეპირი ან/და ვიზუალური პრეზენტაცია.

მუხლი 5. პროექტების დაფინანსების მონიტორინგი.

1. პროექტის დასრულებიდან არაუგვიანეს 1 თვის ვადაში პროექტის ავტორ(ებ)მა სათათბიროს სახელზე უნდა წარმოადგინონ პროექტის პროგრამული და ფინანსური ანგარიში. შესაბამისი შეფასების ფორმის მოთხოვნათა გათვალისწინებით, როგორც მატერიალურად, ასევე ელექტრონული სახით (CD დისკზე ჩაწერილი).

2. წინამდებარე წესის დარღვევისას, როგორცაა პროექტის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობების შეუსრულებლობა და გამოყოფილი რესურსის არამიზნობრივი ხარჯვა შეიძლება გამოყენებული იქნეს შემდეგი სანქციები:

ა) გაფრთხილება;

ბ) პროექტის შეჩერება;

გ) პროექტის შეწყვეტა.

3. სათათბიროს საქმიანობის ის პროცედურული საკითხები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული მოქმედი წესით, შეიძლება დადგინდეს უშუალოდ სათათბიროს მიერ (სათათბიროს წერილობითი გადაწყვეტილების სახით, რომელიც ქვეყნდება საჯაროდ).

მუხლი 6. პროექტები, რომლებიც არ საჭიროებენ უნივერსიტეტის მხრიდან დაფინანსებას

1. უნივერსიტეტის სტუდენტის, სტუდენტური თვითმმართველობის და სტუდენტური ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილი პროექტების, რომლებიც არ საჭიროებენ უნივერსიტეტის მიერ დაფინანსებას, რეალიზაციისათვის სხვა აუცილებელ რესურსებით უზრუნველყოფის საკითხებს წყვეტს სათათბირო, წინამდებარე წესით დადგენილი პროცედურების დაცვით, შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის/ერთეულების რეკომენდაციის თანახმად, უფლებამოსილი პირის მოთხოვნის საფუძველზე.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ წერილობით მოთხოვნაში აუცილებლად აღინიშნება, რომ შესაბამისი პროექტი დაფინანსებას არ საჭიროებს.